


190
1983

ISSN 0182 - 5974
ՀԵՐԱՅԻՍՏԱՆԻ
ՊՐԻՆՏԻՆԻ



ՀՈՒՆԵՐՈՒ

7
1983

ზურაბ შოღინა კომპოზიტი და
ოპოზიტორები თხვი დაღვალ
მომართა მემორიალთან. ასევე
თამაზა ბერიტორიას, ევლიან
უპაიოლეს და ნარაშვას.



პეპელის ჩვენს სკოლაში კვლავ

ნაწი უაღვენიშვილი

უოველ დღით გურჯაანის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის ეზოში გაკვეთილების დაწყებამდე მოსწავლეები დილოს გამამხნეველებს ვარჯიშს ასრულებენ. მაგრამ უფრო ადრე ბავშვების წინაშე ინფორმაციით გამოდის სკოლის დირექტორი ვლადიმერ დარჩიაშვილი, რომელიც მოზარდებს აცნობს წინა დღის შედეგებს, ფრიადოსანსა და დისციპლინირებულს შეაქვს, ხოლო ვინც არაღამაკმაყოფილებელი ნიშანი მიიღო ან დისციპლინა დაარღვია — საჯაროდ ტუქსავს.

— წარმოიდგინეთ, — გვესაუბრება პატივცემული ვლადიმერი, — რომ ასეთმა ფორმამ შედეგი გამოიღო, საგონივრებელ გაუმჯობესდა მდგომარეობა, როგორც სწავლის, ისე ყოფიერების მხრივ. არც ერთ მოსწავლეს არ სურს ტილ-ამხანაგებთან შერცხვეს და ცდილობს სწავლასა და შრომაში თავი გამოიჩინოს.

რათა მისი სახელი საუკეთესოთა შორის იყოს დასახელებული.

ჩვენს გარდა საუბარში მონაწილეობენ გურჯაანის რაიონის კომკავშირთა კომიტეტის მეორე მდივანი დალი შიშინაშვილი, პიონერბელმძღვანელი მარინე შანყულაშვილი და ოქტომბრელებთან მომუშავე რამდენიმე პიონერი.

მარინე შანყულაშვილი: სკოლის კონტინგენტი საკმაოდ დიდია, დღეს აქ 798 ბავშვი სწავლობს, აქედან 392 პიონერია, ხოლო 190 — ოქტომბრელი, სისხლსაცე სიცოცხლით ცხოვრობს და სწავლობს 13 პიონერული რაზმი. რაც კეთდება, კეთილსინდისიერად და გულდასმით კეთდება. ვცდილობთ, მოზარდებს ყარგ სწავლასთან ერთად ჩავენერჯით შრომის სიყვარული. თითოეულმა ბავშვმა ზუსტად უნდა იცოდეს თავისი საქმე, თავისი მოვალეობა და ეცადოს, პირნითადად შეასრულოს იგი.

თამარიკო ნიკოლაშვილი, VII

კლასის მოსწავლე: ჩვენი უპირველესი მოვალეობა ბეჭითი სწავლაა, ამიტომ ვცდილობთ არც ერთი ჩამორჩენილი არ იყოს ჩვენს გვერდით. თუ ეს პაიტი მოხდა, რომელიმე ძლიერი მოსწავლე სისტემატურად ამეცადინებს ოროსანს, კიდევ ნიშანი არ გაქოსწორდება და ჩამორჩენილი მოსწავლე დამოუკიდებლად არ დაქვცეს საგანს.

გოგა უანაშვილი, VII კლასის მოსწავლე: ჩვენ, ბიჭები, გმირობასა და ეპეაკობაზე ვოცნებობთ. ჩვენი ფიქრების განხორციელებად იქცა ნორჩ მფრინავთა ეკადრილია „კაბა-800“-ის ჩამოყალიბება, რომელიც სახელოვანი ქართველი მგრიანვის, საბჭოთა კავშირის გვირის — დავით გაბიძის სახელა ატარებს.

თამარ უანია, V კლასის მოსწავლე: ბევრი ქართველი მეომრის სიკოცხელ შეეწიარა დიდ სამამულო ომს, ბევრმა დედამ ჩაიცვა შავი, მრავალი მოხუცი დარჩა უმარჩენალოდ. თემურელები ასეთებს ყურადღებას არ აკლებენ, ზოგს დნგრეული ღობე აღუდგინეს, ზოგს ევენახა

დაუბარეს, ზოგს შეშა მოუმარაგეს...
 ოში დაღუპულ გმირთა მემორიალის მარადიულ ცეცხლთან საბატიო ყარაულში დგანან პიონერები...
 პატივს სცემენ მათ ხსოვნას, ასუფთავებენ შეშორილის ტერიტორიას, მიწას ბარავენ, აშენებენ ყვავილნარს, მშრულფელობას არ აკლებენ იქაურობას.

ინგა ბეთაშვილი, V კლასის მოსწავლე: ქვეყნის სასურსათო პროგრამის განხორციელებაში პიონერებსაც შეგვექვს წვლილი. როგორც კი გამოცხადდა ყარათიანთა ლაშქრობა „ხუთფურცელა“, მაშინვე ჩავეხვეთ თვითონ ოპერაციებში. შექმნილია შრომითი რაზმები, ვმუშაობთ კულტურისა და დისციპლინის პარკის აეთილომწიფი-გასუფთავებაზე. ვარგობებთ ქართსა და მიყუღატურას, ვიხალბებ დაზიანებულ სასკოლო ინვენტარს და ვცდილობთ, რომ არ დავჭვდამნიოთ, არ დავაქუტყუიანოთ დაფა თუ მერხი. ჩამბულნი ვართ „მზიურის“ მშენებლობაში, ვიცხავთ იმ ბავშვებს, ვინც არ უფრთხილდება პურს.

თითოეულ კლასს თავისი ასაკოლო

ლიდი ინგაბისთი ათვალინაბაზა
 ააზრფაბი მოსკოვში იმგორბარბა
 ბაბომბაზინლ საჩუბარბაზ.

ნაკვეთი აქვს, სადაც დათეილია ბოტანეული, დარგულია სხედსახეა ჭიშის ხეხილი.

გორა ყანჩაშვილი: ჩვენ მზაეა-ლი მეგობარი გეყავს ჩვენი სამშობლოს სხედსახეა კუთხეში, მათთან მიმოწერა გვაქვს გაჩაღებული. მოსკოვლმა პიონერებმა მზარბით და ამანათი გამომგეზუვენეს — მათი ხელით დამზადებული სითამაშოები და

ნაჭარბები. მოსკოველების თხოვნით ჩვენ მათ გავუგზავნეთ მასალბები საჭარბელოს შესახებ. განზრახული გვაქვს შემოდგომაზე მოვიწვიოთ სტუმრად. აქტიური მიმოწერა გვაქვს უკრაინელ მეგობრებთან, კონტაქტებს გამყარებთ ჩეხოსლოვაკიელ პიონერებთან, დიდი ინტერესით ვკითხულობთ მათ გამომზავნილ წერილებს.

ვ. დარჩიაშვილი: ვახანგრძლივებული ჯგუფის მოსწავლეთათვის ავადგეთ ბავდიონი, სადაც ბავშვებს შეუძლიათ გაერთონ. ითამაშონ ჭადრაკი, შაში. მოვაწყვეთ გეოგრაფიული მიუდანი, გავაშენებ ვარდების ხეივანი. ვანსაკუთრებულ ყურადღებას სკოლის ეზოს გალამაზებასა და გასუფთავებას იმიტომაც ვაქცევთ, რომ ზაფხულის პერიოდში აკოლის ბაზახე საქალაქო პიონერული ბანაკი ეწყობა.

მარინე შანუღლაშვილი: მოგვხსენ-

ონერებისა და კომპარტიული სითამაშოების გვიდა მოეწყობოთ ექსკურსიისა ქ. გეორგიევსკში.

დალი შიშინაშვილი: უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში კარგად მუშაობს ქორეოგრაფიული, დრამატული, ქარგვისა და ქსოვის წრეები, სპორტული სექცია.

როცა საუბარო ოქტომბრებლბთან მუშაობას შეეხო, პიონერებს ერთბაშად გაუბრწყინდათ სახეები, ერთმანეთის აღარ აცლიდნენ ლაპარაკს.

გორა ყანჩაშვილი: პირველი ვაცნობის შემდგე პირველკლასელებს ოქტომბრლთა რიგებში ვიღებთ „ეარსკვლავებბად“. ვესაუბრებთ პროლეტარბატის ბელადის ვ. ი. ლენინის ცხოვრებაზე, ვუყვებიოთ, როგორ უყვარდა მის ბავშვები, როგორ ზრუნავდა მათზე. მესამეკლას-



ებათ, რომ ჩვენი კუთხე მდიდარია ისტორიული ძეგლებით, შესანიშნავი ბუნებით. ისტორიული ადგილების გაცნობის მიზნით ხშირად ვაწყობთ ექსკურსიებს. სულ ახლახან ბავშვებს ჯავათვალბერბინეთ თელავი, შუამბა, იყალითო, წინანდალი. ფართოდ აღწრფაბი გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს. თითოეულ კლასს შედგენილი აქვს ალბომი, ჩავატარეთ ლენინსძიება — „მეგობრობა წინაბრებმა გვიანდერბქს“, მოწინავე პი-

ელებს კი ვაცნობთ პიონერთა ორგანიზაციის ისტორიას, გმირ პიონერთა ცხოვრებას, ვამზადებთ პიონერთა რიგებში შესასვლლად.

ბევრმა ჩვენმა თანამემამულემ შესწირა სიცოცხლე ჩვენს ბედნიერებას და მათი დავიწყება არ შეიძლება. ამიტომ ნორჩები ხშირად მივცყავს გმირთა საფლავებბთან, ვაწყობთ სახეიმო შეკრებებს და ვიღებთ პიონერთა რიგებში. პატარები განსაკუთრებული სითბოთი და რულუნებბით

კომუნარი 1982 წლის 19 ივლისი

საქართველოს კავშირის
 კ. ი. ლენინის სახელობის
 კომუნარბი რედაქციის
 კრეატიული საბარბო
 კრეატიული საბარბო
 საკავშირბო ბაზარბო

კომუნარი

1982 წლის 19 ივლისი

საქართველოს კავშირის

უკლიან საფლავებს, ყვავილებით ამკობენ მათ.

ინგა ბეჟაშვილი: რა ამადღევებულა და დაუფიწყებია პირველი შეხვედრა მასწავლებელთან, სკოლისათვის, ანანთან! ამ წმინდა ყალიბდება მოზარდში მოსწავლისათვის აუცილებელი თვისებები: ორგანიზებულიობა, დისციპლინა, ცოდნის წყურბოლი, წესრიგება, მეგობარ-ამხანაგების პატივისცემა და სიყვარული. თითოეულ კლასში გამოყოფილია მოსწავლის დღის რეჟიმი და ჩვენი პიონერები, ვამოწმებთ, თუ როგორ იცავენ პატარები ამ განწყესს, ვეხმარებიან თავისუფალი დროის გონივრულ გამოყენებაში.

ბავშვმა ადრედაწვე უნდა იცოდეს წიგნის ფასი, წიგნი ხომ მისი მეგობარია და მრჩეველია, ამიტომ ნორჩებს ვასწავლით წიგნის მოვლასა და პატრონობას, კლასს თავისი ბიბლიოთეკა აქვს და პატარები თვალისწინებით უფრთხილდებიან საყვარელ წიგნებს, სიცოცხლეს უხანგრძლივებენ მათ.

თამარ უჯანია: ყოველთვის ვცდილობთ, რომ ოქტომბრელები უმთავრესყოფილად არ დარჩნენ, ზარის დარეკვისთანავე მივეშურებით მთავრებს და, უნდა ნახოთ, როგორი სახეგაბრწყინებულნი გვხვდებიან.

ოქტომბრელებთან მუშაობის თითქმის ყველა წამოწყების ინიციატორი გოჩა უანჩაშვილია, იგი დიდი პასუხისმგებლობითა და ერთვლებით ეკიდება საქმეს და, რაც მთავარია, გამოირჩევა ბავშვებისადმი უსაზღვრო სიყვარულით.

რადღენ სასიხარულოა, როცა საკუთარი ნახელავი მშობლის, მასწავლებლისა და უფროსი მეგობრის მოწონებას დაიმსახურებს. როგორ გაიხარეს პატარებმა, როცა სახალწლოდ საშუალება მიეცეთ თვითონ დაემზადებინათ ნაძვის ხის სათამაშოები და საჩუქრები.

მარიანე შანულაშვილი: პატარებს ძალიან უყვართ ზღაპრები. ჩვენი პიონერები ხშირად უქითხავენ უცხოურად ზღაპრებს და მერე უკვლანი ერთად მსჯელობენ წაკითხულზე. ეწყობა კონკურსები — ვინ უფრო

უკეთ მოყვება ამა თუ იმ ნაწარმოების შინაარსს. ოქტომბრელებს იზიდავს ცოცხალი ბუნება, უყვართ ყვავილები. როცა სკოლამ საუკეთესო ცოცხალი კუთხის კონკურსი გამოაცხადა, ყველა მოსწავლემ ერთსულოვნად გადაწყვიტა მასში მონაწილეობა. უნდა გენახათ, როგორი სივარჯიშით, მონდომებით და, რაც მთავარია, გემოვნებით ასრულებდნენ დავალებას. შემოწმება როცა დაიწყო, მხოლოდ და მხოლოდ იტაცების შეძახილი თუ მიიღია. იმდენად ლამაზი ნამუშევრები წარმოადგინეს ბავშვებმა, რომ დირექციამ ერთსულოვნად დაუწერა ყველას ფრიადი.

ინგა ბეჟაშვილი: ჩვენი დედებისათვის რომ გვესიამოვნებინა, დიდი ენთუზიაზმით შევეუდღებთ მმარტისადმი მიძღვნილი ღონისძიების მიმზადებას, რომელსაც „დედაც, სიცოცხლის დილო საწყისო“ დავარჩევთ. პატარებმა თვითონ ვაფორმეს მოაწყვეტი ბარათები და დაუგზავნეს დედებსა და მასწავლებლებს, მიართვეს იები და ენძელები.

მარიანე შანულაშვილი: ჭეშმარიტად კარვ ტრადიციას ჩაყვება სასულძველი ახლახან — ნათესა-

ვებრია და ახლობლებია ხსოვნის ერთადღეს. სწორედ ამ დღეს მიუძღვნა დიდი ღონისძიება ოქტომბრე კომპოზიცია, შემდეგ კი ოქტომბრელები გარდაცვლილი მასწავლებლის საფლავთან შეიკრიბნენ, დაუჩრგეს ყვავილები.

თამარიკო ნიკოლაშვილი: ჩვენს პატარებს ეგებარებთ არსებული ნების დაუფლებამში, გახანგრძლივებული ჭფუდის მოსწავლეებს კი — საშინაო დავალებების შესრულებამში; ერთად ვალავებთ საკლასო ოთახს. ოქტომბრელებს პიონერულ სიმღერებს ვასწავლით. ვანაპუთრებით კარგად ეხერხება ეს თამარ უჯანიას, რომელიც თავადაც მშვენივრად მღერის. შრომის გაკვეთილზე გოგონები ქსოვენ, თოჯინებისათვის კაბებს კერავენ, პატარობიდანვე ეჩვევიან სიფაქიზეს, სისულთავეს. ლენინურ შვაბათობაზე ისინი საკუთარი ხელით შეკერილ წინასწარებსა და თავსაფრებში გამოიყობილი გამოცხადდნენ, თვალს უხაროდა, ისე ლამაზად და კოჰწიად გამოიყურებოდნენ.

გოჩა უანჩაშვილი: ძალიან უყვართ ჩვენს უმცროს მეგობრებს ხატვა. ამიტომ ხშირად ვაწყობთ კონკურსს ასფალტზე ხატვაში, ვფორმებინებთ სტენდებს, ვეხმარებთ გამოფენების მოწყობაში, სადაც მათი ნახელავია წარმოდგენილი.

ბევრი ოქტომბრელი გამოირჩევა კარგი სწავლითა და ყოფაქცევით, შრომისმოყვარეობითა და საქმის ერთვლებით, მაგრამ საუკეთესოთა შორის მინდა ადვანახლო გია სტენენაძე, ნატო ზარინაძე, ნათია ძველიშვილი, ზვიად ბერიძიშვილი, ნათია ქადაგიშვილი.



მართლაც აღატამაჟი მოზიანან ნორჩიანი იმინ მოჟოთილი ცოცხალი კუთხი.

ის, რაზეც ვიამებთ, მხოლოდ ნაწილია იმ მუშაობისა, რასაც გურჯანიანს პირველი საშუალო სკოლის მონერული რაზმეული ეწვევა.

გვეგვრა, რომ ისინი კვლავაც იტყვიან თავიანთ სიტყვას, ისწავლიან და იზრომებენ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ, მშობლებისა და სკოლის გასახარად.

თ. აბაგალიის ფოტო

ვიგრძნობ, რომ გწითლდებოდი. სახე და ყურები წაშო-
მიხურდა.

— კარგად. შენა, ნიკ?

ყოველთვის, როცა ქეთი ჩემს სახელს წარმოთქვამდა,
გული უცნაურად მომეწურებოდა ხოლმე. ჩემდამიწაზე
ქეთის გარდა ალბათ არავის შეეძლო ჩემი სახელის
ასე წარმოთქმა. როცა ის ამბობდა: „ნიკი“, საოცრად მი-
ყვარდა და პატივს ვცემდი საკუთარ სახელს. თან უკუ-
ველად შემეფიქრებოდა გული. ახლაც ასე დამე-
მართა.

— იცი, ნიკ, როგორ მომენატრა სკოლა? ვერ წარმოი-
დგენ. ერთი სული მქონდა, როდის გაიცოდიდა ეს დღე-
ეი. შენ არ მოგენატრა აქაურობა, ნიკ?

მე არაფერი მითქვამს. მარალი არ იქნებოდა მეთ-
ქვა, მომენატრა-მეთქი. წელს რატომღაც სულ არ მომ-
ნატრებია სკოლა.

დაბლა, ეტყობოდა, სახეიმო შეხვედრა დამთავრდა,
ჯერ სუსტი ხმაური გაისმა, წამივ და იგი გრიგალი-
ვით მოგვაწყდა... მე კი ის დღე გამახსენდა...

ის დღე — გასული წლის 14 ოქტომბერი — ოთხშაბათი
იყო, რატომღაც ისე დამამახსოვრდა, თითქოს გუშინ
მომხდარიყო ყველაფერი. იგი ზარის დარეკვამდე რა-
მდენიმე წუთით ადრე შემოვიდა კლასში. აგუგავებულ
ოთახში თითქოს ალაღმა ჩამოქრულიყო, ერთხაშად სი-
ჩუმე ჩამოვარდა. ოცდაშვიდი წვეცილი თვალი ცნობი-
მოსყვარებოთ მისჩერებოდა მას. დაწვები უღვივოდა,
ტუნჩების ირგვლივ კი კომშისფერი ეღო.

— ვაშრობოთ. სად შეიცვლება დაჯჯდე? — ხმა ოდ-
ნე უმართლბა. ხუმრობა ხომ არ იყო, ამდენი თვალი
მისჩერებოდა ინტერესით.

— მობრძანდით, მზად ვარ ჩემი მერხით გემსასუ-
როთ! — ნოდარ დღეუბაქმე ნაბიჯი გვერდზე გადადგა,
მარცხენა ხელი მკერდზე მიიღო არტისტულად, მარჯ-
ვენა თავისი მერხისკენ გაიშვირა და თავი ოდნავ დახარა.
— გხოლოდ, მამაშუად!

მან ის შეხება ნოდარს, ბიჭები აფხუკუნდნენ.

— ჩემთან დაჯექი! — პირველი რიგის მეორე მერხი-
დან წამოიღა ნათია ნაჭყვიბია და მუდარით დაუმტატა: —
მარტო ვზივარ.

ნათია შარმანაც მარტო იჯდა. დამრიგებელმა მასთან
ჯერ ეთერი დასვა, მაგრამ ერთი გაკვეთილის შემდეგ
იგი ისევე თავის მერხს დაუბრუნდა. მეორე დღეს ციურ-
ის უთხრა, შენ დაჯექიო, მაგრამ ვერც ის შეეღია თა-
ვის ძველ ადგილს.

ერთი სიტყვით, ნათიასთან დაჯდომა არავის უნ-
დოდა, იქნებ იმიტომ, რომ მთელ კლასში მხოლოდ ნა-
თია დღეობდა უფორმოდ და უხაფთოდ. მუდამ მოუწეს-
რიგებელი იყო. ყველას ეცოდებოდა, მაგრამ ზედ არა-
ვინ ყვებოდა. ის კი არა და, ხშირად გვერდსაც აგუ-
დიდობდა ხოლმე, როცა კინოში, დაბადების დღეზე ან სა-
დღე მივდიოდით. თვითონაც არ იწყებდა ჩვენსა. ისედაც
იცოდა, შინიდან არ გამოუშვებდნენ. ნათიას ერთი ავი

დენინაცვალე ჰყავდა, იგი როსტომიდან თუ სარტოვი-
დან ჩამოყვანა ნათიას მამას. ხელოსანი კაცი იყო და
ხშირად დადიოდა რუსეთში სამუშაოდ. როგორც მასწავ-
ლებლებისაგან მსმენია, ნათია ნიჭიერი ბიჭი გაკვეთი-
ლებს მუდამ უყრადღებოთ უსმენდა. სკოლაში არასდეს ის-
წავლის, თორემ სახლში დედინაცვალე წიგნს არ აკა-
რებსო, — ამბობდნენ. ისე კი სამიანებზე წწავლობდა. ნა-
თიას კარის მეზობელი, ჩვენი გურამი ამბობდა, ის ალ-
ქაჯი დედაკაცი ხშირად თვრება და ნათიას უმოწყალოდ
სცემსო.

აქვე ისიც უნდა გითხრაო, რომ ნათიასაგან დედინა-
ცვალზე ძვირი არასოდეს მსმენია. თითქოს განგებ, ხში-
რად ხმამაღლა ამბობდა: დედაჩემმა ეს მითხრა, დედა-
ჩემმა ეს მომცაო და ყოველთვის „დედაჩემს“ განსაკუ-
თრებით უსჯავდა ხაზს.

ნათია ფეხზე იდგა და ისეთი თვალებით შესცქეროდა
ახალ მოწაფეს, რომ გავივიტყვ: ახლა ეს რომ ამასთან
არ დაჯდეს, ამ უბედურს გული გაუსკდება-მეთქი. ის კი,
თითქოს გადაწყვეტილებას იღებო, რამდენიმე წამს
ისევე ისე იდგა კართან, მაღალი, წელწერილი, პერს-
ვანი, ლოყებშეფაკლული, შავ წამწამებ ქვეშ მოციმცი-
მე თვალებით. მევე თამამად წამოვიდა და ნათიასთან
დაჯდა.

საქმე გაუჩნდათ კლასის ჭორიკანებს.

ერთი გაკვეთილის მევე მთელმა კლასმა იცოდა, რომ
ის თბილისიდან იყო, მამამისი აბესალომ წერეთელი
ჩვენი რაიონის მილიციის უფროსად დაენიშნათ, ცოლი
და თავისი ერთადერთი შვილი თან ჩამოყვანა.

ჩვეყვალსელ ბიჭებს ქეთი მოეწონათ. სამაგიეროდ,
ერთხანობა, გოგონებმა შეიძულეს. მეტწიარას და უკა-
რების ეძახდნენ. ნათიას გარდა არავისთან მეგობრობ-
და. ნათია კი თვალსა და ხელს შუა მივიცვალა. თმა კო-
ხტად დაიყენა, კლასში მოსწავლის ფორმით დაიწყო
სიარული. ახალი ფეხსაცმელებიც გაუჩნდა. ხოლო ნოე-
მბრის დღესასწაულების შემდეგ მშვენიერი ცისფერი
ჰაქიტო გვეხალა.

კლასში ამავე ხმამაღლა არავის ლაპარაკობდა, მაგ-
რამ ყველამ იცოდა, ეს სიკეთე ქეთისგან მოდიოდა. ამი-
ტომ ამას ისე მივეჩვიეთ, რომ დეკემბრის ერთ მშვე-
ნიერ დღეს, კოხტად მორგებულ სადა, ლამაზ პალტოში
ნათიას გამოესადება არავის გაგვეკვირვებია. მევე ისიც
ითქვა, რომ დედინაცვალი უკვე ნათიას უბატონოდ ხმას
დეს სცემსო. ერთ დღეს ის ქალი მილიციის უფროსს
დაუბარებია და უთქვამს: არსად მუშაობ და რა საქმესაც
წევიტ, ვიციო, მაგრამ თვალს ვსუჯავო, რადგან პავლე-
ბის დღეა ხარ, მაგრამ თუ გავიგო, რომ იმ გოგოს სცემ
და წიგნის კითხვის საშუალებას არ აძლევ, იცოდა, არა-
ფერი გიმშველსო.

კიდევ ერთი დიდი ცვლილება მოხდა ნათიამ. ჯერ
იყო დღე, პირველმა ალგებრის მასწავლებელმა დაუწერა
ოთხიანი. იმ დღეს ეს შემთხვევა ამაღ ჩავთვალეთ.
მაგრამ მეორე დღეს, როცა ნათიამ ოთხ საგანში ზედი-
ზედ მიიღო ოთხიანი, გავოცდით — ეს უკვე აღარ ჰკავდა
შემთხვევითობას.

მესამე დღეს კი საოცარი სცენის მოწმენი გავხდით. ისტორიის გაკვეთილზე მასწავლებელმა ნათია გაიძახა. ნათია იდგა რუკისთან და ისე ყვებოდა გაკვეთილს, რომ მთელი კლასი გასუსული უსმენდა. გულზე ხელვებდაჭ-
დობილ მასწავლებელს სახე უბრწყინავდა და მოწონე-

ბის ნიშნად თავს უქნევდა. ნათიამ თხრობა დაამთავრა და ერთბაშად სირუმე ჩამოვარდა.

— ყოჩაღ, ნათია, ყოჩაღ! ფრიადი! — საზეიმოდ გამოცხადა მასწავლებელმა, ხელში კალამი აიღრ და ჯერ ნალს ჩააქვერდა. ნათია, თითქოს ყურებს არ უჯერებ-სო, მასწავლებლის ხელებს გაოგნებული მისჩერებოდა. როცა მასწავლებელმა ხელის ერთი მოსმით ვურნალში ფრიადი ჩაწერა, სირბილით წამოვიდა, რუკის საწვენე-ბელი ჯონი მაგიდაზე დააგდო. ქეთისთან მიიჭრა, გა-დაეხვია და ხმამაღლა აქვითინდა, მერე ოთხიდან გავა-რდა.

საოცარ სირუმეში კლასი ქეთის მიაჩრდა. ის იჯდა წელგამართული, ლოყებბაღწილი და საკუთარ თითებს დასცქეროდა. უცებ მის თვალებს ცრემლები მოსწყდა და ხელის ზურგზე დაეცა.

ამ ამბავმა ყველას ავიჩყუა გული.

— ყოჩაღ, ქეთევან, მაღლობელი ვარ შენი. ამას ჰქვია მეგობრობა! — ლამის მასწავლებელსაც შეეპარა ხმაში ცრემლი.

მას მერე ნათია კვლავი ედგა სკოლის საუკეთესო მო-სწავლებლს. იმ დღიდან არავის წამოსცდენია ქეთიზე, მე-ტიჩარა და უკარბებოა. ქეთის დამსახურებბა ისიც, რომ ინგლისურის ისეთი მოძულე, როგორც გურამ დარჩია იყო, ახლა „მოსკაუ ნიუსს“ კითხულობს. ერთ დღეს, რო-ცა ინგლისური ენის მასწავლებელმა გურამს უკვე მესა-მედ დაუწერა ორიანი და „დააიმედა“, თუ ასე გააგრძე-ლებ, გარანტიას გაძლევ, სკოლას ვერ დაამთავრებო. გუნებაამეგვებულ გურამს ქეთიმ უთხრა:

— გინდა, ერთად ვიმეცადინოთ ინგლისურში?
გურამმა გულგრილად შეხედა და ხელი ჩაიჭინა:
— ტყუილია, მაინც არაფერი გამომივა!
— გამოვივა. აი, ნახავ, გამოვივა. დღეს ექვს საათზე მოდი ჩემთან და ვცადოთ!

გურამმა მხრები აიჩჩა და მერე მოწყალედ დაუმატა:
— კარგი, მოვალ!
— შევთანხმდით, ექვს საათზე გელოდები!
რატომღაც საოცრად შემშურდა გურამის. მის ადგი-ლზე ნეტავ მე ვიყო-მეთქი — ვინატრე.

უნდა გამოვტყფე, რომ ქეთიმ ჰპირებლად სადარდე-ბელი გამიჩინა. თუ ადრე ჩემი ნიშნები კლასის ცოდნის შედარებითი საზომი იყო, ახლა ჩემს ხუთიანებს წყალი შეუდგათ. სად ჩემი ფრიადები და სად მისი. ქეთევანი ამკარად მჯობნიდა. ჩემი გვარის გასწვრივ ოთხიანები გაჩნდა; ამის გამოსწორებას თითქმის ერთი სემესტრი მოევნიდი...

კლასმა შეუმჩნევლად შეიყვარა იგი. ახლა არავინ უძ-ებდა მის საქციელში მოჩვენებით სიკეთეს. თვითონ კლასი მიუახლოვდა მას და შეითვისა...

სკოლიდან მომავალმა შორიდანვე შევნიშნე ჩვენი ეზოს კარებთან მდგომი „გაზიკი“. ემამა მოსულა“, — გა-ვიფიქრე და ნაბიჯს მოვუჩქარე. მამჩრემი დაფნისა და



ციტრუსების მეურნეობის დირექტორია. მეურნეობა აქედან 15 კილომეტრზეა და მამა ხშირად შინ სადილობს.

ჭიშკარს მიუხალოვდი. მამამ კიბე ჩამოიარა და მანქანისკენ წამოვიდა. ამ დროს ჩვენს გვერდით, მეზობლის ჭიშკართან თეთრი „ვოლგა“ - გაზ-24 გაჩერდა. ჯამლეთ ძია მოვიდა სახლში. იგი რაიონში ჩაის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მეურნეობის აგრონომია. ადრე მეზობელ რაიონში მუშაობდა მეურნეობის დირექტორის მოადგილედ. ამბობდნენ, იქ რაღაც საქმეები გაუფუჭდა, მაგრამ მაინც მოახერხა მშობალზე გამოსვლა და იმ მეურნეობიდან აქ აგრონომად გადმოიყვანესო. ჯამლეთ ძიამ და მამაჩემმა სკოლაც და ინსტიტუტიც ერთად დაამთავრეს, მაგრამ მაინც ვერ იტყოდი, მეგობრები არიანო.

ჯამლეთ ძია მანქანიდან გადმოვიდა და მამაჩემისკენ წამოვიდა. ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. ამ დროს მეც მივიდი. მივიხალბე.

- ნიკას გაუმარჯოს! - ხელი ჩამომართვა ჯამლეთ ძიამ. - რამსიმალღე გახდა ეს მაიმუნი!

- როგორა გაქვს საქმე? - ჰკითხა მამაჩემმა. რა თქმა უნდა, ჩაის კრეფას გულისხმობდა. კრეფის სეზონი მთავრდებოდა და მთელი რაიონის უპირველესი საზრუნავი ეს იყო.

- ძალიან გვიჭირს. დღეს ალექსანდრ მინაევჩის ჭირი მოგჭამე (ალექსანდრ მინაევჩი ჩვენი რაიონის მდივანია) და, როგორც იქნა დაგითანხმე - 300 მოსწავლე მომცა თხუთმეტი დღით. მე თუ არ მივსდები, ჩემი დირექტორის იმედზე მტერი დარჩა. ეს სეზონი რომ ჩამათავებინა, მერი არაფერი მინდა, იმ დღესვე დავეყრ განცხადებას და წამოვივალ, რაღაცას ვიშოვი აქ. აღარ შემიძლია, გავთავდი კაცი!

- რას იზამ, ჯამლეთ, ისეთი პროფესია გვაქვს, სხვანაირად არაფერი გამოგვივა, - დაამშვიდა მამაჩემმა.

- ჯამლეთ ძია, ჩვენი სკოლაც ხომ არ მიჰყავთ საბუშაოდ? - ვიკითხე მე.

- სწორედ შენი სკოლის იმედი მაქვს, ნიკა!

- რომელი კლასები მიჰყავთ?

- მევივდი, მერვე და მეცხრე. ალექსანდრ მინაევჩი მათეზე ვერაფრით ვერ დავთანხმე. დამამთავრებელია, მათთვის ახლა ერთი საათიც კი მნიშვნელოვანიაო.

- როდიდან წაგვიყვანენ?

- ხვალიდან. გადადების დროა? ცეცხლი გვიკიდია!

- რაო, ხომ არ გეწყინა? - გაიღიმა მამაჩემმა. - თხუთმეტი დღე თქვენთვის არაფერია, საქმეს კი დიდად წაადგება.

მამაჩემი წავიდა. ჯამლეთ ძია თავის სახლში შევიდა.

შინ შევიბრინე, ჩანთა ჩემს ოთახში დავაგდე და ისევ გამოვვარდი. კიბეზე დედა შემომხვდა.

- ბიძინასთან მივდივარ, ახლავე მოვალ.

- ბიძინა სკოლაში არ იყო?

- კი. მაგრამ საქმე მაქვს.

- ასეთი სასწრაფო რა საქმე გამოგიჩნდა, ისაიღე და მერე წადი.

- სკოლაში ვისადილე. ხვალიდან თხუთმეტი დღისა სამუშაოდ მივდივარ ჯამლეთ ძიას მეურნეობაში. ახლა მიხსნა.

კიბეზე სირბილით დავეშვი. ბიძინა ჩემს პარალელურ ქუჩაზე ცხოვრობს.

- ბიძინა, ჰუ, ბიძინა! - ბიძინას ჭიშკარს მივაღექი და, გაგისარიათ, ხმას თავისუფლება მივეცი.

- რა დამდურღულივით ღრიალებ, რა მოხდა?! - ბოსტნიდან ბიძინას უმცროსი დის, ნანას ხმა მომესმა, მერე თვითონაც გამოჩნდა. ცისფერი ჩითის ბუნჩულა წიწილებით მოხატული უსახლეობო კაბა ეცვა.

- ნანა, შეჩერდი, ჩრდილიდან ნუ გამოხვალ, მზემ არ დაჰკრას წიწილები!

ნანა წაიშო მართლაც შეყვენდა, უცებ ვერ მისვდა, რაზე ველაპარაკებოდი. მერე წარბები შეიკრა:

- ამისთვის ღრიალებდი?

- როგორ გეკადრება, სერიოზული საქმე მაქვს შენს ძმასთან.

ბიძინა აივანზე გადმოდგა, პერანგს იცვამდა.

- ამოდი!

- უკანასკნელ ცნობებს თუ მოუსმინე რადიოში?

- როდის?

- ახლა, კაცო.

- რა დროს უკანასკნელი ცნობებია, სამი საათია.

- ვიცოდი, რომ არ მოუსმენდი. ახალი ამბების სპეციალური გამოშვება იყო - ხვალიდან თხუთმეტი დღით ჩაის საკრეფად მივდივარ მეურნეობაში...

- აა!



როგორც იქნა, დამთავრდა კინოსურათი. შუქი ან-
თო, ახმაურდა დარბაზი. ხალხი ჟრიაბულით გამოვივნა
გარეთ.

მთავარიანი, თბილი, საოცრად წყნარი ღამე გრძელდება
სასიამოვნოდ ამრიალებდა ვამპირულ ფოთლებს.

— ბავშვებო, ცოტა ხომ არ გავისეირნოთ? — წინადა-
დება წამოაყენა ქეთევანმა.

— გავისეირნოთ, გავისეირნოთ! — ერთბაშად გადაწყვიტა და ნაზდიანი გუშაგებივით ჩამწყრივებული კედრების სტეივანს ხმაურით გაუყენენ.

მე არ გაგანძრეულვარ.

— შენ, რა, არ მოდიხარ?! — ქეთი ჩემკენ შემობრუნდა და წინ დამიდგა.

— მეგზობა! — ისე ვთქვი, თითქოს საშინლად დაღლილი ვყოფილიყავი. სინამდვილეში, მეზარებოდა კი არა, ისეთი ღამე იყო, შემძღლო სულაც არ დამეძინა.

— შენ თუ არ წამოხვალ, მეც არ წავალ! — ჭირვეულად მიიხარა, პასუხს არც კი დაუცხადა, ხელმკლავი გამიკეთა და ჟრიაბულით მიმავალ თანაკლასელებს მივყვივით. ისევ ვიგრძენი გაზაფხულის ყვავილების სურნელი და პაერი ღრმად შევისუნთქე.

წინ სიმღერა წამოიწყეს. რატომღაც არ მესიამოვნა. თითქოს რაღაცენირად შემეცოდა ღამე. მის ნებებერ, ჩაყურსულ სიწყნარეს სულ არ უხდებოდა ეს სიმღერა. ასეთ დამებს მხოლოდ ჩუარულით უნდა ილაპარაკო ან სულაც არაფერი თქვა, გაიღურსო და უსმინო სიჩუმეს...

მივიღიღით და ამისთანა რამეებს ვფიქრობდი.

უცბა ქეთიმ მკლავი განითვისოვლდა და გაჩერდა.

— თუ არ გსიამოვნებს ჩემთან, დაგებრუნდეთ! — ჩემთანს“ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი. სამაში წყენა დაეტყო.

— ეგ რამ გაფიქრებინა?!

— რა ვიცი, აბა, რას ჩამოგმივია ცხვირი?

— ნახე, როგორი ღამეა, ქეთი, არ მოგწონს? — ვთქვი მე.

ქეთიმ, როგორც მომეჩვენა, წამით უნდაობლად შემომხედა. მერე სივრცეს მიაყურადა.

— მართლაც დიდებული ღამეა! — ხმა დაუტკმა. — შეხედე, შესედე, ნიკ, რამდენი ვარსკვლავია! — თავი უკან გადაიღო და სახე ცას მიაპყრო. — ამბობენ, ყოველ ადამიანს თავისი ბედის ვარსკვლავი აქვსო, ნეტავ როგორია ამათში ჩემი და შენი?

სამყაროს მირიადი თვალა უდრტვინველად აფახულდება წამიწამებს.

— ღმერთმა უწყის. საერთოდ, ამაზე არც მიფიქრია.

— მე კი ბევრს ვფიქრობ.

— რატომ?

მხრები აიჩქინა.

— არ ვიცი, როგორ ვითხრა, — თქვა და მოვიცავე თვალები მომანათა, უცბა მკლავები ვაშლა, ვადიკისკისა და მზრიალასავით დატრიალდა. ასე ტრიალებდა ერთ ხანს. თან იხახვდა: ნახე, მთვარე და ვარსკვლავებიც მეცავებიანო...

მეორე დღეს ოთხი ავტობუსი დაადგა მეურნეობის გზას. მეურნეობა დაბიდან საცამოდ შორს იყო. ჩვენი ავტობუსი პირველი მიდიოდა. ხვნევით მიუყვებოდა მოკირწყვლულ, ოღრწორო ალმარის. ლევანი გიტარაზე უკრავდა. მერე სიმღერა წამოიწყო. მაშინვე სხვებიც აყვინენ. ცოტაც და მთელი ავტობუსი ამღერდა. მღეროდნენ ხალხურ სიმღერებს, საექსტრადოს, შირიებს, ერთი სიტყვით, ჯოჯოხეთურ ხმაურს ლამის ავტობუსის ჰერი აეხადა.

იმ დღეს სამუშაოდ არ გავსულვართ — საერთო საცხოვრებელში დაბინავება-დალაგებას მოვუწიეთ. როცა საქმეს მოვრჩით, ვიღაცამ თქვა, აქვე ტბა ყოფილა და საბანაოდ წავიდეთო.

ტბაზე იქპური ბიჭები წავყვეყენენ. იქვე მეურნეობის ცენტრიდან რაღაც ერთ კილომეტრზე იყო, ირგვლივ გადაშლილი დაბლობის შუაგულში, თითქოს საგანგებოდო, მაღალი, კონუსივით მთა წამომართულიყო. მის კალთებს დაფნის, ლეღვის და ბროწეულის ხშირი ტყე შეჰფენოდა. მხოლოდ აქა-იქ მოჩანდა თავქოჩორა, მხრებავალილი მუსისა და რცხილის ხეები.

გზიდან საცალფეხო ბილიკზე გავუსვით, მთის წვერზე ავედი და თვალწინ საოცარი სანახაობა გადაგვეშალა: ჩაის პლანტაციები რძისფერ ბურუსს ერწყმოდნენ, შორს კი მოჩანდა მოლივლივე ზღვა, ფოთის ნავსადგური და თეთრი გემები. აქვე, ჩვენს ქვემოთ, „ძაბორის“ ძირში უზარმაზარი ფირუზის თვალივით იჯდა ლავვარდისფერი ტბა.

ტბიდან მობრუნებულებმა მე-მბ-ს ფეხბურთი ვეთამაშეთ. ნავსამშენებს მეურნეობის კლუბში შევედით კინოსურათის საყურებლად. რაღაც კომედია იყო, სახელი აღარ დამამახსოვრდა.



**საერთო
 შრომის
 ფარგლებში**

მეორე დღეს რვა საათზე გავედით სამუშაოდ. თავიდან ხალხისიანად და ადვილად აუწყო საქმე. ვკრფდით ჩაის და თან ვმღეროდით. მზე თანდათან მიიწყვედა მაღლა და სიცხცე აუტანელი ხდებოდა. მოვიფინეთთ. იკლო სიცილმა და სიმღერებმა. ახლა ერთი სული გვექონდა, როდის მოვიდოდა შესვენება. მერე, როგორც იქნა, მოაღწია სადილობამ. ისე დავივალეთ, წელიში გამართვა გვიჭირდა. სასადილოში ჩვეთივს უკვე გაუწყობთ სუფრა. წყალწყალა ბორძში ისე მიგემრიელა, თითქოს იმაზე უკეთესი ჩემს დღეში არაფერი მეჭამა. სხვებიც მადიანად ხვრებდნენ.

სასადილოდან გამოსვლისას ქეთიმ მკითხა:
 - ნიკ, არ დაიბალე?
 - კი, შენ?
 - მეც. ძალიან ცხელა.
 მერე ერთხანს ფარდულში ვისხედით.
 - აღარ მინდა, მასწ, მუშაობა. - თქვა ოთარმა.
 - სულელი, აბა როგორ გინდა, ხომ ხედავ, ქვეყანა მუშაობს, - პირში ეცა ნოდარი.
 - რა ჩემი საქმეა, ქვეყანამ რაც უნდა ის ქნას, მე არ მინდა მუშაობა, - გაჯიუტდა ოთარი.
 - გვეყოფა დასვენება, წავედით სამუშაოდ, უკვე აგრილდა! - წამოდგა ზურაბ დამრიგებელი და პლანტაციისკენ მიმავალ ბილიკს დაადა.
 ავიზღაზნეთ და უხალისოდ მივეყვით...
 ასეთი იყო ჩვენი პირველი სამუშაო დღე...

მე და ბიძინა ჩაის პლანტაციებს შორის მოკირწყულულ შარას მივეყვებოდით. თბილი ზღვაური ქროდა. ფხვბქვემ კენჭები ხმაურობდა. საღამოს ბინდი თითქოს ზღაპრული ფრინველის ფრთებით ეშვებოდა მიწაზე. კავკასიონზე კი მზის უკანასკნელი სხივებისაგან ღრუბლები ისე გავარდისფერებულიყო, სურნელებაც კი ექნებოდა-მეთქი, გავფიქრე.

- შენ თუ აირჩიე პროფესია? - მკითხა ბიძინამ.
- ჯერ არ ვიცი, რა გზას დავაგდებო.

პაპრაძელთა შუამდგომლობით



გაივლის კიდევ რამდენიმე წელი და საამუშაოდ აშრადღება არხილისკალოელი პიონერების ხელით გაშენებული პარკი, რომელსაც „პიონერული“ ჰქვია. ასეთივე პარკი გააშენეს წითელწყაროს რაიონის კიდევ ერთი სოფელია, ქვემო ქედის ნორკანს მდინეზე. გულმოდგინე მოვლის წყალობით გოგო-ბიჭების ხელით დარგულმა თითქმის ყველა ზემ იხარა. პარკის მოვლა-პატრონობას პიონერები სწავლისაგან თავისუფალ დროს ახერხებენ. ეს დრო კი ახლა ყველა მათგანს აქვს, რადგანაც საერთო მცდელობით მოხერხდა მოსწავლეთა დროის სწორი და გონიერი განაწილება. მოსწავლეთა სასარგებლო და კეთილმა საქმეებმა ამიტომ იზრავდა ასე, ამიტომ გახდა ასე თვალსაჩინო მათი წვლილიც საერთო ამოცანების გადაჭრის საქმეში.

აქტიურად მონაწილეობენ წითელწყაროს რაიონის სკოლების პიონერ-მოსწავლეები სასურსათო პროგრამის განხორციელებაშიც. სხვადასხვაგვარად ეღონებენ ეს მონაწილეობა. აი, მაგალითად, ჯფფარჩქელი ბესიკ ნასრავილი თავისი უფროსი ძმის მხარდაჭერა შრომობს ადგილობრივ მეურნეობაში. ბესიკს სხვა მისმა ამხანაგებმა კი აუბეს მხარი. ხალხისიანად მუშაობენ გოგო-ბიჭები მინდვრებში და ვენახებში, მეცხოველეობის ფერმებში. შარშან მათ სამი ტონა თივა დაამზადეს პირუტყვისათვის. წელს კი უფრო მეტის დამზადებას აპირებენ. და განა მართო ჯფფარჩქელი პიონერები ყოჩაღობენ ასე. არბოშიკში, ზემო მახანაში, ქვემო ქედში და რაიონის კიდევ სხვა ბევრ სოფელშიც ასეთივე გამაჩრ და დაუზარელი ყმა-წილები ცხოვრობენ და საქმიანობენ.

ნათო პაპრაძე

**პასუხისმგებლობის
 პრინციპით**

რუსთაველი მშრომლები — მეფთოლადები, ქიმიკოსები — შრომაშიც მიწინავეობენ და დისციპლინის განმტკიცებისათვის გაშლილ ბრძოლაშიც. სწორედ მათ უსწორებენ მხარს ქალაქის ოცი სკოლის, სკოლა-ინტერნატისა და ბავშვთა სახლის პიონერები. რა თქმა უნდა, მანამდეც ყველამ კარგად იცოდა, რომ პიონერი ყველგან და ყველადღერში სანიმუშო უნდა იყოს, მაგრამ სწორედ მათონ, ზამთრის თვეებში ჩატარებულ რაზმეულის შეარებაზე, გადამწყვეტებს ნორჩმა რუსთაველებმა სხვაანობა



თავლი შევხედთ ყველაფრისათვის, შეგნებულად. განაკუთრებული პასუხისმგებლობის გრძობით მოჰქიდებოდნენ სწავლასაც და დისციპლინასაც. გადაწყვეტილებები მიიღებდნენ მისი განხორციელება მოჰყვა. სკოლებში ენერგიულად შეუდგნენ დისციპლინის გამწესებას და თქმა უნდა, ყველა სხვადასხვა საშუალება და გზა აირჩია. ქალაქის მე-3 და მე-15 სკოლებში, მავალითად, ასაკოლო რადიოგანების მეშვეობით ყოველდღიურად გადმოაკეციერ ცნობებს აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ. ბევრ სკოლაში თავად მოაწავლენენ აკონტროლებენ დაგვიანების შემხვევები, ამოწმებენ ამხანაგების ასაკოლო ფორმას. აკადემიური მოსწრების შემოწმება კი მოსწავლეთა კომიტეტის წევრებს აქვთ დაკლებული. უდისციპლინობისა და ჩამორჩენის ყოველი ფაქტი კომიტეტის სხდომის მკველობის საგანი ხდება. კარგი ეფექტი გამოიღო კორტეული ფურცლებების გამოშვებამ, რომლებიც დაუზოგავად ამხილებენ და ამთარახებენ ოროსნებს, გამცდენებს. წესრიგის დამრევეებს, უხეირო ამხანაგებს. ამ ბოლო დროს რუსთავის სკოლების ცხოვრებაში კიდევ ერთი კარგი ტრადიცია დამკვიდრდა — სხვადასხვა სკოლის კოლექტივების და მეგობრების. მეგობარი ასკოლების პიონერ-მოსწავლეები ერთად დადინ ექაკურსიაზე, აწყობენ ერთობლივ სალა-მოებს, ატარებენ რანმეულებს საბჭოების ერთობლივ სხდომებს. მეგობრობამ დადაყშირა რუსთავის მე-3 და მე-2, 1-ლი და მე-15 სკოლების მოსწავლეები. ამ მეგობრობის კეთილი შედეგები თვალსაჩინოა თითოეული სკოლის ცხოვრებაში.

სალომა იხნაძე

ნორკ

ზესტაფონეთა

წავლილი

პიონერების სახით ზესტაფონის რაიონის მეცხოველეებს საიმედო შემწეები გამოუჩნდათ. აი, თუნდაც ტბა-კინელი ახალგაზრდა მეცხოველე, საქართველოს კომკავშირის XX XII ყროლობის დელეგატი ვარდო ვაფრინდაშვილი ავიღოთ — საქონლის მოვლაში მას ადგილობრივი სკოლის ბიულო მეექაე კლასი ეხმარება. რა თქმა უნდა, ამ დახმარებას ნორჩებისთვისაც დიდი სარგებლო-

ბა მოაქვს. ისინი ახლავ ეტებულობენ შრომის შედეგს აწავლობენ პირტყევი მოვლა-პატრონობას.

ტბაქინელებს არც სხვა სოფლია პიონერები ჩამორჩებიან. ამ ბოლო დროს საგრანობლად გაიზარდა მათი წვლილი ქვეყნის სასურსათო პროგრამის განხორციელების საქმეში, ხოლო ამის ერთ-ერთი წინაპირობა ის გახლავთ, რომ მოსწავლეებმა სერიოზულად მოჰქიდეს ხელი დროის გონივრულად გამოყენებას, დისციპლინის განმტკიცებას. ახლა თითოეული მათგანი მაქსიმალური ყურადღებით არის გავეითილზე, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ შინ დავალებების მომზადება-შესრულებაზე ნაკლები დრო ეხარჯებათ. თითქმის მთლიანად მოისპო რაიონის სკოლებში დაგვიანების შემხვევები. წესრიგისა და დისციპლინის წყალობით გოგო-ბიჭებს თავისუფალი დროც მეტი რჩებათ და აი ამ დროის გარკვეულ ნაწილს ისინი თავისეულ სასურსათო პროგრამას უთმობენ.


კარგი შედეგები აქვთ ამ მხრივ ზედა საქარის საშუალო სკოლის პიონერული რანმეულია წევრებს. მათ 80 გოჭის გამოზრდა იყისრეს და წარმატებითაც გაართვეს თავი ადებულ ვალდებულებას. მართალია, თავდაპირველად მათ ეჭვი ეპარებოდათ, ვითუ, ვერ შეეძლოთ და თავიც შევირცხვინოთ, მაგრამ აქ ნორჩებმა შურა მასწავლებელი წამოეშველა, რომელიც თუმცა უკვე პენსიაზე გასული, მაგრამ ბავშვებთან კავშირს არ წყვეტს. გარჯასა და მონდომებულ შრომას შედეგაც სასურველი მოჰყვა — ზედნასაქარებმა პიონერებმა სახელმწიფოს სამი ტონა ლორია ხორცი ჩააბარეს.

ზესტაფონის მე-4 საშუალო სკოლის პიონერებმა მეცხოველეობის ფერმებისათვის საყვების შეგროვება იდეს თავს. ქალაქის ყველა სახლში, სადაც პიონერები ცხოვრობენ, გაჩნდა „პიონერული ყუთი“, რომელშიც გოგო-ბიჭები საყვების ნარჩენებს აგროვებენ.

ზესტაფონის მე-4 საშუალო სკოლის პიონერებმა პირდაპირ სკოლის ეზოში მოაწყვეს მებოცვერობის პატარა ფერმა. სანიმუშოდ უვლიან ისინი ბოცვრებს. განსაკუთრებით გამოირჩევიან მეექვსეკლასელები, ხოლო მათგან — ილია ლუტიძე და გივი ჭანტურიძე. გასულ ზაფხულს სახელმწიფომ ნორჩი მებოცვერებისაგან 100 კგ ხორცი ჩაბარა. წელს კი ქვედასახანოელებმა უკვე 200 კგ ხორცი ჩააბარეს.

წონა ახახაძე





ამოსანა

გეგმა ნოზაძე

ხანძარი ზ. შიქვაძის მიერ

მოსტრა

მეოთხეკლასელი აჩიკო უგუნებოდ დაბრუნდა სკოლიდან. უხალსოდ დაიბანა ხელები და მივიდა მიუჯდა. დედან არ გამოპარვია ბიჭის უგუნებობა, მაგრამ არაფერი უკითხავს. ამასობაში მამაც მოვიდა, — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, დიდი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი.

დედამ მოაწრო მეუღლის გაფრთხილება, ბიჭს რაღაცა უკირისა. მამა შეუერთდა ოჯახის წევრებს. სადილს რომ მორჩნენ, თითქოს სხვათა შორის იკითხა:

— რა ამბავია სკოლაში, აჩიკო?

ამოდულდა ბიჭი, ორი მსხვილი კრემლი ჩამოუვარდა.

— მათემატიკის საკონტროლოში ორიანი მივაღო!

— ორიანა?! — იკითხა დედამ და თევში განზე გასწია. — სიოცარია, განა რა საკონტროლო იყო ასეთი? რაღაც ამბავია, გიორგი!

— რა უნდა იყოს, — თავი ასწია გიორგიმ, — ვერ ამოხსნა ამოცანა და ორიანი მიიღო...

— რას ქვია, ვერ ამოხსნა? თავად შენვან ვიცი, რომ აჩიკო ძლიერია მათემატიკაში!

— მაინც რა ამოცანა იყო ასეთი, ბიჭო, გახსოვს? — მშვიდად ჰკითხა

გიორგიმ შვილს.

— ვახსოვს.

— მაშინ მითხარი, აჩიკო ჩაფიქრდა და სლუკუნ-სლუკუნით მოყვა ამოცანის პირობას:

— დაგვევალეს 1,5 კილოგრამი თეთრი პურის, 0,5 კილოგრამი ჩუხი და 250 გრამი შავი პურის ყიდვა. ამოცანა გვეკითხებოდა, რამდენა კაპიტა საპური ამდენი პური შევათენადო.

— ეს არის სულ? — იკითხა დედამ.

მამა ჩაფიქრდა, კარგა ხანს იყო გარინდელი, მერე აჩიკოს მიუბრუნდა:

— საინტერესო ამოცანა შეუდგენია თქვენს მასწავლებელს, ვერ ამოხსენა?

— ეერა, — თვალები დახარა ბიჭმა.

— კი მაგრამ, სახელმძღვანელოში გამოილია ამოცანები? — გაბრაზდა დედა.

მამას ღმილი მოერიც:

— მოითმინე, ელენე... ვინ მიიღო, ბიჭო, ფრიადი?

— გია ხარშილაძემ.

— მთელ კლასში მარტო გიამ?

— მარტო გიამ.

— ყოჩაღ, გია! — სახე გაეხადარა გიორგის.

— რა ვახარებს, გიორგი? — წარბები შეჰყარა დედამ, — გია სამეზბე ძლიეს სწავლობს, ჩვენი ბიჭი კი ფრიადოსანი! ზვალე წვაღ სკოლაში და მასწავლებელს მოველაპარაკებო!

მამა მოიღუშა:

— რას ერჩი, ელენე, მასწავლებელს? ეგ ორიანი არიკოს არ მიუღია... მივალ და იმ მათემატიკის მასწავლებელს ორივე ხელს ჩამოვართმევ.

— როგორ? მაღლობას ეტყვი ორიანისათვის?

— დიახ, მაღლობას. გია, შეიძლება, სამოსანი, შეიძლება ჩვენი შვილი მასზე უკეთ ერკვევა ფერწერაში, მუსიკაში, ლიტერატურაში და მათემატიკაშიც კი, მაგრამ მან არ იცის ის, რაც იცის გიამ!

— მაინც რა? გაიოცა დედამ.

— პურის ფასი! — ამოიოხრა გიორგიმ.

შინ, მყინვარ- ტყეაში მუშაობენ

დენის გოგალის მუშაობა

საქართველოს ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მთებს უკავია. ჩრდილოეთით მას საზღვრავს კავკასიონის ქედი, მისი ლამაზი, მარადთოვლიანი, მამაი მწვერვალებით. მათ შორის ულამაზესია მყინვარწვერი, საბჭოთა თუ უცხოელი მოგზაურებისა და მთამსვლელების ოცნება, მრავალი მწერლისა და პოეტის შთაონების წყარო. მას მოხევეები სიყვარულით „ხევის პატარალა“ უწოდებენ. ლამაზია მყინვარწვერი წელიწადის ყოველ დროს. გარიყრაზე მზის პირველი სხივი სეტყავი თოვლის სამოსელში გახვეულ მის წვეს შეეხება, ვარდისფრად გაასხივოსნებს, შემდეგ კალთებს ჩამოყვება და გარემოს მოედინება. მეტე მოულოდნელად მოწმენდილ ცაზე, მთის წვერზე პატარა თეთრი, სიფრიფანა ღრუბელი განჩნდება და მყინვარწვერის საბატარძლო ღეჩაქივით დაადგება...

ხევი, (დღევანდელი ყაზბეგის რაიონი), კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზეა გაშლილი.

რაიონული ცენტრი ყაზბეგი — წარსულში სოფელი სტეფანწმინდა, — მდინარე თერგის მარჯვენა ნაპირას, ყუროს კლდოვანი ქედის ძირში მდებარეობს, საქართველოს სამხედრო გზის 160-ე კილომეტრზე. XIX საუკუნის მიწურულს ხელისუფლების ერთგული სამსახურით სსხელი გაუ-

თქვამს ხევის მოურავს, ყაზბეგ ჩოფეკაშვილის შვილს გაბრიელს, რომელსაც მთიელნი დიდ პატივს სცემდნენ. გაბრიელს მამის სახელი აღირეგია გვარად. მეფის რუსეთის ხელისუფლებას დიდად დაუფასებია მისი ერთგული სამსახური და სოფელ სტეფანწმინდისთვისაც და მყინვარწვერისთვისაც ყაზბეგი შეურქმევია.

მყინვარწვერის განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართველი ხალხის ფოლკლორში. ბერძნული ოლიმპის მაგვარად იგი წმინდა მთად არის აღიარებული. ლეგენდების თანახმად სწორედ ამ მთაზე ყოფილა მიჯაჭვული ამირანი, რომელსაც გველმაი სდარაჯობდა. მწვერვალის კლდოვან ნაწილს დღესაც „გველშაპს“ ეძახიან. დიდი ადგილი უკავია მყინვარწვერის ქართველი მწერლების ა. ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, ი. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის და სხვათა ნაწარმოებებში. მყინვარწვერი აღწერილი აქვთ რუსული ლიტერატურის კლასიკოსებსაც — ა. პუშკინს, მ. ლერმონტოვს და სხვებს.

მყინვარწვერის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე აღმოჩენილი იქნა კლდეში ნაკეტი გამოქვაბული ხის კართა და რკინის ჯაჭვით. ზუსტად ისეთი, როგორც აღწერილი აქვს ი. ჭავჭავაძის პოემა „განდიგოლში“. 1948 წელს ექსპედიციამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა სპორტის დამსა-

ხურებელი ოპატჩი ალექსანდრა ჩაფარიძე, შეადგინა ამ გამოქვაბულში, სადაც აღმოჩნდა XI-XII სსსსის ხეობის თები.

მყინვარწვერის ფერდობებზე შემორჩენილია მრავალი გამოქვაბული და ნაგებობა, რომლებიც უძველესი სამონასტრო კომპლექსს — ბეთლემს ქვნიან.

ზღვის დონიდან 2100 მეტრის ალმალზე, მყინვარწვერის ფონზე აღმართულია XIV საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების პრეციუზულ ძეგლი — სამების ტაძარი სამრეკლოთი.

მყინვარწვერზე პირველ ასულთან დაკავშირებით მეფე ენულე მეორეს შეილიშვილის იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ მოხსენიებულია ვინმე მოხვეე მღვდელი ოსები. შემორჩენილია თქმულება მამუკა ბერზე, რომლიც ასულა აღწერის მიხედვით ყველაზე რთული გზით არის განხორციელებული. პირველ ოფიციალურ ასულად მყინვარწვერზე ითვლება 1868 წელს ცნობილი ინგლისელი მეცლევარისა და მოგზაურის დუგლას ფრეშვილის ასულა. ფრეშვილი თან ახლდა ადგილობრივი გამყინდი ახია ფიცხელაური. შემდეგ წლებში უფრო ადვილი გზით მწვერვალზე ავიდა რუსი მთამსვლელი სიბაჯანი. მოგინანებით უგამყოლოდ დაიპყრო მყინვარწვერი რუსმა გეოგრაფმა პასტუხოვმა. ამავე



მყინვარწვერის მთაზე



ღაბა აუზბაგიზან თითომოს ხაღირთ მისწმადი სანმასა ღა მქინმარწმის.

ველი ჰყავდა აყვანილი მწვერვალზე.

სწორედ ეს ორი ზემოთ აღნიშნული ექსპედიცია დაჯერდა მთამსვლელობას, რომლის 60 წლისთავსაც წელს მთელი საბჭოთა კავშირი აღნიშნავს.

1926 წელს გერგეტის მყინვარით და ფირნის /თოვლიანი/ ველის გავლით, მყინვარწვერის მთელი კონუსის დასავლეთიდან შემოვლით მწვერვალზე ავიდა გამოჩენილი მთამსვლელი სიმონ ჭაფარიძე. ეს არის ყველაზე ადვილი და ლოგიკური გზა მწვერვალზე ასასვლელად. სწორედ ამ მარშრუტით ტარდება ახლა აღმინაიბედა — მასობრივი ასვლები.

მყინვარწვერის ძირში, 3657 მეტრის სიმაღლეზე, ქართველ მთამსვლელთა ინიციატივით მეტეოროლოგიური სადგური აიგო. პირველი მოზამთრეებიც (1933-34 წ.) მთამსვლელები იყვნენ. სადგურში სანტერესო მეცნიერული კვლევითი სამუშაოება ჩატარებულა. დიდი სამაშულო იმის დროს აქედან გადაცემული ამინდის პროგნოზები დიდ დახმარებას უწყევდა ამიერკავკასიის ფრონტის შტაბს...

მყინვარწვერზე ალპინიზმის ისტორიაში პირველად მთელი სამხედრო აღჭურვილობით ავიდა ფრუნუეს სახელობის მსრაულთა მეორე ქაბრული დივიზიონის ათასეული და გამარჯვების ნიშნად მწვერვალიდან გაისმა ზარბაზნის ბათქი. ამ ასვლის ხელმძღვანელობდნენ გამოჩენილი მთამსვლელები დავით წერეთელი და აკაკო მარი.

მრავალ მთამსვლელს იზიდავს დიდი და მშვენიერი მწვერვალი. მისივე კიდევ ბევრი გაუფალი მარშრუტიც ვასაღული და ალბათ მათ შორის, ვინც მყინვარწვერზე შედგამს ფეხს, იქნებიან ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აღსაზრდელბიც. ნორჩ მთამსვლელებს მოვლილი აქვთ დარიალის, თრუსოს, ზღეს, სნოს ხეობები, შესწავლილი აქვთ ხევის ისტორიული ძეგლები და მისი სხვა დორსშესანიშნაობანი. ნორჩები კარგად იცნობენ კავკასიონის უღელტეხილებს, ჭვარას და ბურასკობს. მათ მო-

გზით ავიდა მყინვარწვერზე 1891 წელს ცნობილი გერმანელი გეოგრაფი მერკაბაერი. 1901 წელს კი მყინვარწვერზე პირველად შედგა ფეხი ქალმა, ეს გახლდათ პედაგოგი ვლადიკავკიიდან მარია პრეობრაჟენსკაია. 1910 წელს მწვერვალზე სერგეი მირონის ძე კიროვი ავიდა, რომელიც ამ დროს გადასახლებაში იყო აკვასიაში. ყველა ეს ასვლა ცალკეულ პირთა მიერ და უმეტესად ადგილობრივ მცხოვრებთა წინამძღოლობით იყო შესრულებული.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მთამსვლელობა მასობრივ ხასიათს იღებს. 1923 წელს მყინვარწვერზე ორი ასვლა განხორციელდა. პირველი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 18-კაციანი სპორტული ჯგუფის მიერ, რომელსაც გამოჩენილი სპორტსმენი და მეცნიერი გიორგი ნიკოლაძე ხელმძღვანელობდა. ამ ჯგუფში ხუთი ქალიშვილი შედიოდა — ლიტუნი ჩხეიძე, ასმათ ნიკოლაიშვილი, ელიკო ლორთქიფანიძე, მარი ტუაყევი და მარი ტყეშელაშვილი. მეორე ასვლა სამეცნიერო ხასიათს ატარებდა და მის საქართველოს გეოფიზიკური ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ალექსანდრე დიდებულოძე ხელმძღვანელობდა. ექს-

პედიცია შედგებოდა შვიდი კაცისაგან, მათში მონაწილეობდა ერთადერთი ქალი, შემდეგში ცნობილი მთამსვლელი ალექსანდრა ჭაფარიძე.

გ. ნიკოლაძის ჯგუფს გააყოლად ახლდა იაგორ კახალიაშვილი, შემდეგში განთქმული მთამსვლელი, იალბუზის, თენულდის, უშბის და კავკასიონის სხვა მწვერვალების პირველი საბჭოთა დამწყობი: მისი მთამსვლელური მიღწევები მკიდროდ იყო დაკავშირებული სიმონ, ალექსანდრა და ალიოშა ჭაფარიძეების სახელოვან ოჯახთან. იაგორ კახალიაშვილი პოეტური ნიჭით იყო დაჯილდოებული, მან მრავალი მწვენიერი ლექსი მიუძღვნა მშობლიურ მთებს. ამჟამად ყაზბეგში, სახლში, რომელშიც ი. კახალიაშვილი ცხოვრობდა, მისი სახელობის მთამსვლელი მუზეუმი. მის სახელს ატარებს ღამის სათვეი გერგეტის მყინვარზე და მწვერვალ ბურჯულას მისასვლელი რაჟის კავკასიონზე.
